პროგრესი აშკარაა

ხარკოვი. “მეტალისტის” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“მეტალისტი” (ხარკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“მეტალისტი”: სივუხა, მოტუზი, სუსლო, კუზნეცოვი, კამარზაევი, კრამარენკო (ივანოვი), იაკუბოვსკი (ლედნეი), მედვიდი, ტალკო, ტარასოვი, ბონდარენკო.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, ჭედია, გუცაევი, მახარაძე, შენგელია.

მსაჯი: ვ. ჟუკი (მინსკი).

დუბლიორები – 2:2. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ტყავაძემ და გურულმა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ უდავო, უცილობელ ფაქტს: თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა კოლექტივი აშკარა პროგრესის გზას ადგას. ჯერ, ზოგიერთებმა ჩვენი ეს მოსაზრება უბრალო ქათინაურად რომ არ ჩათვალონ, მოვიშველიოთ სტატისტიკა: პირველ წრეში ჩვენმა გუნდმა სულ 16 ქულა დააგროვა და მე–12 ადგილი დაიკავა, მეორე წრის 7 მატჩის შემდეგ კი დინამოელებს უკვე 10 ქულა ჰქონდათ დაგროვილი, რომელთაგან 4 მეტოქეთა მინდვრებზე აიღეს. დაუმატეთ ამას გუშინდელი გამარჯვება ხარკოვში და ? ქულა 89 მატჩის შემდეგ – ეს უკვე ლიდერთა მაღალი მაჩვენებელია.

მაგრამ სტატისტიკურ გამოანგარიშებათა გარდა, სადღეისოდ ასევე უდავოა გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის დადგენა, სტაბილური, სოლიდური თამაში, ცალკეული რგოლების საუკეთესო შეთამაშება, შემტევი სტილი, კოლექტივიზმი, მაღალი ბრძოლისუნარიანობა… ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თბილისის “დინამოს” კოლექტივი თანდათან, მეთოდურად თავს აღწევს კრიზისის ტყვეობას, იგი აშკარა აღმავლობის გზაზეა.

მატჩი ხარკოვის “მეტალისტთან” იოლი არ იყო. მართალია, დასაწყისში დინამოელებმა შეუტიეს და სვანაძეს გოლის გატანის რეალური შესაძლებლობაც მიეცა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. შემდგომში ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ, დინამოელთა დაცვას და მეკარეს მძიმე სამუშაო დააწვათ. ამ პერიოდში საუკეთესოდ ითამაშეს მცველებმა და ნახევარმცველებმა, ძნელი ბურთები აიღო აბუსერიძემ.

მასპინძელთა იერიშები მეორე ტაიმის დასაწყისშიც არ შენელებულა, ერთ–ერთ მომენტში ტარასოვის ძლიერი დარტყმა კუთხურზე მოიგერია აბუსერიძემ, მაგრამ მცირე ხანში მდგომარეობა გათანაბრდა, შემდეგ კი უპირატესობას დინამოელები დაეუფლნენ, ახლა უკვე მათი ნახევარმცველები და მცველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ იერიშებში. თბილისელთა ერთ–ერთი სწრაფი საიერიშო კომბინაცია ხარკოველთა მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს, დაინიშნა საჯარიმო და ჩივაძის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი კვლავ ძელს მოხვდა.

მიმდინარეობდა მატჩის 61–ე წუთი, როცა თბილისელთა შეთანხმებულ თამაშს წარმატება მოჰყვა: კომბინაცია წამოიწყო ჩივაძემ, რის შემდეგ კაკილაშვილი მეტოქის საჯარიმო მოედანზე გაიჭრა. მან მოასწრო და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი სივუხას. ხარკოველთა მეკარემ ვერ შეძლო ბურთის აღება და იძულებული გახდა ბადიდან გამოეტანა იგი.

დამარცხების საფრთხის წინაშე მყოფი მეტალისტელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ დინამოელთა დაცვითი ხაზები ორგანიზებულად, უნარიანად იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს, ხოლო გუცაევი, შენგელია, მახარაძე, ჭედია და სხვანი ყოველ შესაძლო მომენტს იყენებდნენ საპასუხო შეტევებისთვის.

მეტად დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში თბილისის დინამოელებმა საუკეთესო საბრძოლო თვისებები გამოავლინეს და ბოლომდე წარმატებით მიიყვანეს დაწყებული საქმე. მსაჯის საფინალო სასტვენისთვის მათ შეინარჩუნეს დამსახურებული გამარჯვება.

“ლელო”, 4 სექტემბერი, 1984 წ.